№ 139
პარასკევი, 11 ივლისი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 139
პარასკევი, 11 ივლისი 7981 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავ. მელიტონ გლახას ძე მიქელაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის დედი სას,

**კნეინა მეტია მიქელაძისას**

(დაბადებით თავადის ასული მიქაძისა),

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზედ შაბათს, 12 ივლისს, დილის 10 საათზედ

**სოფ. წილორში**

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღეა. (3—6.—3)

**კბილის საექიმო კაბინეტი**

**ვ. ი. ჭიჭინაძისა**

16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქუჩა, № 81, სლივიცკის სახლი (იქ სადაც კნინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

მთავრობის განკარგულებანი

## მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

საზოგადოების საქმეთა ანგარიშები მოგების განაწილება და დივიდენდის მიცემა.

§ 59. საზოგადოების საოპერაციო წელიწადი 1-ლ იანვრიდგან 1 ლ იანვრამდე ითვლება. გამგეობა ადგენს თითოეულის წლის საზოგადოების ოპერაციების ანგარიშს, ბალანს მისის აღებ-მიცემობისას და ყოველ წლიურს წარმომადგენელთა კრებას წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად.

შენიშვნა. წლიურ წარმომადგენელთა კრების ორი კვირით ადრე გამგეობის წიგნები, ანგარიშები, სხვა-და-სხვა დოკუმენტები და დამატებანი, რომლებიც-კი ანგარიშსა და ბალანსს შეეხებიან, საზოგადოების წევრთ მუდამ შეუძლიანთ გადაათვალიერონ.

§ 60. ანგარიშში დაწვრილებით უნდა იყოს მოხსენებული სამი უმთავრესი საგანი: ა) რა მდგომარეობაშია თანხა: საალებ-მიცემო და სათადარიგო; ბ) რა შემოსავალი და გასავალი ჰქონია საზოგადოებას იმ ხნის განმავლობაში, რა დრომდეც ანგარიშია შედგენილი; რამდენი რა უყიდნია და გაუყიდნია; გ) საზოგადოების მსახურთა ჯამაგირზედ რა დახარჯულა, ან საქმეთა სხვა მმართვა-გამგეობას რა ხარჯი დასჭირებია; დ) საზოგადოებას იმ ხანად რა ქონება აქვს, ან რამდენი საქონელი აქვს გაუსყიდველი; ე) საზოგადოებას ვისი რა ჰმართებს, ან რამდენი აქვს სხვაზედ ვალად დარჩენილი; ვ) შემოსავლისა და ზარალის ანგარიში და ზ) წმინდა მოგების ანგარიში და მისი სამაგალითო განაწილება.

§ 61. ანგარიშისა და ბალანსის გან სახილველად, თუ რამდენად სწორედ არიან იგინი შემდგარნი, წარმომადგენელთა კრება ერთის წლით ადრე სამისა ან ოთხის წევრისაგან სარევიზიო კომისიას ირჩევს, რომელნიც არც გამგეობის წევრნი უნდა იყვნენ, არც საზოგადოების საქმეთა მმართვაში იღებდნენ მონაწილეობას. ხსენებული კომისია მომავალის წლიურის კრების ერთი თვით ადრე უთუოდ უნდა შეიკრიბოს, ანგარიში და ბალანსი გადასინჯოს, რევიზია უყოს, წარსულის წლის ყველა საწარმოებელი წიგნები, ანგარიშები, საბუთის ქაღალდები და დამატებანი განიხილოს, გასინჯოს აგრეთვე გამგეობისა და საზოგადოების განყოფილებათა საქმის წარმოება და თავისის განმარტებითა და ჩვენებითურთ ანგარიში და ბალანსი წარმომადგენელთა კრებას წარუდგინოს, რომელიც დაამტკიცებს მას. კომისიას უფლება აქვს, თუ მოისურვებს, ან წარმომადგენელთა კრება მიანდობს, საზოგადოების მთელს ქონებას რევიზია უყოს ადგილობრივვე, განიხილოს, რა ოპერაციები ჰქონია წლის განმავლობაში, ან ამ ქონების შენახვაზედ რა ხარჯი ჰქონია და სხ. ერთი სიტყვით, კომისია ვალდებულია ყოველივე შეიტყოს და გამოიკვლიოს, თუ რამდენად სარგებლის მომცემი და დროითი ყოფილა საზოგადოების მიერ დაჭერილი ვაჭრობა, რა აღებ-მიცემობა ჰქონია. ზემოდ აღნიშნულის აზრის მისაღწევად გამგეობამ კომისიას ყოველგვარი დახმარება და საშუალება უნდა აღმოუჩინოს და ხელი მოუმართოს. იმავე კომისიამ უნდა განიხილოს მომავალის წლისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და გეგმა მოქმედებისა და შემდეგ განხილვისა თავისის განმარტებით წარმომადგენელთა კრებას წარუდგინოს დასამტკიცებლად. გარდა ამისა კომისიას უფლება აქვს გამგეობას საგანგებო წარმომადგენელთა კრების (§ 36) მოწვევა დაავალოს, თუ მისის აზრით ეს საჭირო იქმნება.

შენიშვნა. საზოგადოების საქმეთა რევიზია შეიძლება ადგილობრივის გუბერნატორისა (ან ქალაქის უფროსის) განკარგულებითაც მოხდეს, თუ რომ შენიშნული იქმნება, რომ საზოგადოებაში რამე უწესოება ხდება, ან წესდებას არღვევენ.

§ 62. წარმომადგენელთა კრების მიერ დამტკიცების შემდეგ, წლიური ანგარიში და ბალანსი სამ ეგზემპლიარად შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამეურნეო დეპარტამენტსა და ადგილობრივს გუბერნატორს (ან ქალაქის უფროსს) უნდა წარუდგინოს. გარდა ამისა, თუ წარმომადგენელთა კრება მოისურვებს, შეიძლება ადგილობრივის დრო გამოშვებით გამოცემებშიაც იქმნენ დაბეჭდილნი.

§ 63. წარმომადგენელთა კრების მიერ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, წლიურ წმინდა მოგებიდგან, ე. ი. იმ თანხიდგან, რომელიც ყველა ხარჯებსა და ზარალს მორჩება, 10% სათადარიგო თანხად გადაიდება, შემდეგ გადადებული იქმნება წილის დივიდენდი ისე და იმ რიგად, რომ წლიურად თითო მანეთს 10% მეტი არა ჰხვდებოდეს სარგებლად. ხოლო დანარჩენი თანხა, რომელიც გამგეობის წევრთა შორის სარგებლის განაწილებას მოჰრჩება, წარმომადგენელთა კრების (§ 49) დანიშნულებისამებრ საზოგადოების წევრთა შორის იქმნება განაწილებული თანაბრად იმ ნავაჭრისა, რომელიც თითოეულს მათგანს წაულია წლის განმავლობაში საზოგადოების სახელოსნოებიდგანა და საწყობებიდგან.

შენიშვნა 1. წარმომადგენელთა კრებას უფლება აქვს ერთი ნაწილი მოგებისა ყველა წევრთათვის სასარგებლო რამ საქმეს მოახმაროს (§ 1 შენიშვნა).

შენიშვნა 2. როდესაც სათადარიგო თანხა საწილო თანხის ოდენი გახდება, საზოგადოების მოგებიდგან სათადარიგო თანხას აღარაფერი მიემატება, რა საკვირველია, თანხმად წარმომადგენელთა კრების დადგენილებისა. მოგებიდგან ერთის ნაწილის სათადარიგო თანხაში გადადება კვლავ სავალდებულოდ ხდება, როგორც-კი ამ თანხას კვლავ მოაკლდება რამე.

შენიშვნა 3. დივიდენდი მხოლოდ სრულს წილის ფულზედა და სრულს თვეებზედ ითვლება.

შენიშვნა 4. წევრის ხვედრი დივიდენდის გაუტანის ნაწილები სათადარიგო თანხას ემატება.

(დასასრული იქმნება)

—

ებოძათ პოდპორუჩიკობა 78 ნავაგინის ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკებს მ ურ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს და დ ა რ ა ს ე ლ ი ა ს.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ იქმნა 14 დღით ალბულის ფოსტა-ტელეგრაფის სკანტორის უფროსი ნადვორნი სოვეტნიკი თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ იქმნა 15 დღით ტფილისის პოლიციის მოხელე ბ ა ხ ტ ა ძ ე.

# ახალი ამბავი

—

*** ტფილისიდგან ბათუმს, სადაც გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი ზღვით ჩამოვა, საგანგებო ჩქარი მატარებელი წავიდა გუშინ 10 ივლისს, და მასთან ერთად რკინის გზის უფროსი ვედენეევი და ცალკე სამსახურის უფროსები, რომ მინისტრს შეეგებნენ.

მინისტრი ჯერ ბორჯომს წავა, მერე გზასა და სხვა საქმეებს ნახავს და დაათვალიერებს.

*** გუშინ-წინ, 9 ივლისს, კომისიის მიერ, რომელიც შესდგებოდა ექ. გ. ი. სტეფანოვისა, ქალაქის ინჟინერისა და სავაჭრო-სამეურნეო უფროსის ინსპექტორისაგან, შეკრებილის ცნობების თანახმად ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გამართოს საზოგადო საჭიროების ადგილები იარმუკაზედ, ახალ თეატრის მახლობლად, მალაკნის მოედანზედ და თათრის მოედანზედ.

*** ოთხშაბათს, 9 ივლისს ქალაქის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა იმავე დღეს მიყვანილი, ავლაბრის მცხოვრებელი იასონ ბიციაშვილი. როდესაც მიცვალებული გასჭრეს, აღმოჩნდა, რომ ცოფით ყოფილა ავად. როგორც გამოძიებამ გამოაშკარავა, 8 მაისს პატარა ძაღლს უკბენია ბიციაშვილისთვის, რომელსაც ძაღლი იქვე მოუკლავს და ნაკბენისათვის არაფერი ყურადღება არ მიუქცევია. 9 ივლისს ბიციაშვილს თურმე ცოფი მოერია, მივარდა და დაჰკბინა თავისი ცოლი და ორი შვილი, რომელნიც გუშინ, 10 ივლისს, პასტერის სადგურში მიიყვანეს და ცოფი აუცრეს.

*** ავჭალის წყლის მილის გამგემ წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება და 5000 მანეთსა თხოვსს ავჭალაში თავისთვისა და მუშებისთვის საცხოვრებელ შენობათა ასაგებად. ქალაქის გამგეობამ განიხილა რა ხსენებული მოხსენება, მიანდო ამშენებელ განყოფილებას, რომ დაწვრილებით პროექტი შეადგინოს ამ განზრახულ შენობებისა და ქალაქის საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

*** გუშინ, 10 ივლისს, ტფილისის გამგეობაში მივიდა იურიევის უნივერსიტეტის დეკანი, გეოლოგიის პროფესორი ლევენსონ ლესინგი და შეატყობინა ქალაქის მოურავის მოადგილეს ბ-ნს ივანენკოს, რომ გეოლოგთა კრების 400 წევრი ჩამოვა ტფილისში და 5 აგვისტოდგან 11 სექტემბრამდე დარჩებიანო. ამასთანავე ბ-მა ლევენსონ ლესინგმა განაცხადა, რომ 50 წევრისათვის უკვე დაქირავებული მაქვს ოთახები „ორიანტის“ სასტუმროში, ამაზედ მეტი თავისუფალი ადგილი არსად აღმოჩნდა და გთხოვთ დამეხმაროთ ოთახების შოვნაშიო. ბ-ნმა ივანენკომ მიჰმართა „ტფილისის სობრანიას“. გარდა ამისა, გამგეობამ გადასწყვიტა პატივცემულ სტუმრებს ჩამოსვლის უმალვე ნადიმი გაუმართოს.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრო კავკასიის საგუბერნიო სამმართველოთ დაჰკითხებია: შეიძლება და საჭიროა თუ არა ქალაქების სასარგებლოდ ველოსიპედებსა და თვითმოძრავს ეტლებზედ გარდასახადი იქმნას დადებულიო და ყველა საგუბერნიო სამმართველოს ის პასუხი მიუცია, რომ საჭიროა უთუოდ გარდასახადი დაედოსო.

*** გზათა მინისტრი თ. მ. ი. ხილკოვი და ფოსტის გზებისა საწყლე დეპარტამენტის დირექტორი დ. ი. ანდრეევსკი 8 ივლისს, საღამოს გამომგზავრებულან კავკასიაში ნოვოროსიის ნავთ-სადგურისა და კავკასიის რკინის გზის დასათვალიერებლად და აგრეთვე სხვა-და-სხვა ადგილას გასაყვან რკინის გზის საქმის ადგილობრივ გამოსარკვევად.

*** რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან სოხუმის ოლქში გადასახლებულ გლეხთა ცხოვრებისათვის, რომელთათვისაც ციებცხელებას დაურევია ხელი, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ყურადღება მიუქცევია და განუზრახავს ხსენებული ადგილი ყოველმხრივ გამოიკვლიოს და ჯეროვანი საშუალებანი იხმაროს, რომ მცხოვრებთ ეს უბედურება თავიდგან ააცილოს და აგრეთვე შეაძლებინოს, რომ ავადმყოფები მთიან ადგილებში გადასახლდნენ ხოლმე საცხოვრებლად.

*** ფინანსთა მინისტრს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში სამი ახალი თანამდებობა კიდევ დაუწესებია გარდასახადთა ინსპექტორების თანაშემწეებისა, —ორი ამათგანი ქ. ტფილისისა და ერთიც ქუთაისის გუბერნიისათვის.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების რამდენსამე წევრს აზრად აქვს ამ ზაფხულს კავკასიის სხვა-და სხვა ადგილას იმოგზაურონ იმ აზრით, რომ შეიტყონ რამდენად წარმატება დაეტყო სხვა-და-სხვა ცოტად თუ ბევრად საინტერესო და შესანიშნავ სასოფლო მეურნეობას. ამ მოგზაურობაში ყველა მსურველს შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა. დღეს, 11 ივლისს, შეიკრებიან საბაღოსნო სკოლის სადგომში და გამოარკვევენ იმას, თუ რა ადგილები უნდა დაათვალიერონ.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ბორჩალოს მაზრის სოფ. წინკარის მცხოვრებელთა განაჩენი, რომლითაც მათ ნება ეძლევათ სოფ.

*) იხ. „ივერია“, № 138.

წინკარში სასოფლო სკოლა დააარსონ.

⁂ ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, რომ რადგანაც თიანეთის მაზრაში გზატკეცილის ხიდები მეტად ცუდ მდგომარეობაშია, სავანგებო განკარგულება მოახდინეო, რომ შეაკეთონ.

⁂ როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, ამ ზაფხულს კავკასიაში აპირობენ მოგზაურობას საერთაშორისო მე 7-ე საგეოლოგო კონგრესის წევრნი, რადგანაც ხსენებულნი მეცნიერნი საქართველოს სამხედრო გზით მოვლენ ტფილისს და ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილს დაათვალიერებენ, კავკასიის მთავარ-მართებელის კანცელარიამ მთავარმართებელის თანაშემწის ბრძანებით სთხოვა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, რომ მან განკარგულება მოახდინოს, რათა საერობო დარაჯიდგან შესდგეს ცალკე რაზმი, რომელიც ზემოხსენებულ კონგრესის წევრებს ეახლება ტფილისის გუბერნიაში მოგზაურობის დროს. ამასთანავე კანცელარია სთხოვს გუბერნატორს შეატყობინოს, საქართველოს სამხედრო გზაზედ მოგზაურობის დროს და სადგურს ყაზბეგზე დაეთმობათ თუ არა წევრებს ღამის გასათევად სადგომები და შეიძლება თუ არა ამ აზრით დაქირავებულ იქმნას ფარდულები, ან სხვა რომ ამ გვარი.

⁂ წელს ქუთაისის გუბერნიაში კენჭის საყრელად 8,593 კაცია მოწოდებული. ამათგან ჯარის-კაცად ჩარიცხული იქმნება სულ 1,527 კაცი.

⁂ თავადის წულუკიძის ქალის მოტაცების საქმე, რომელმაც მთელი იმერეთი ფეხზედ დააყენა ამ ხუთიოდე თვის წინად, ქუთაისის ოლქის სასამართლოში 18 ივლისს იქმნება გარჩეული.

⁂ გუშინ წინ, 9 ივლისს, გუბერნიის გამგეობის საექიმო განყოფილებაში გუბერნიის ექიმის ტ. ს. ქიქოძის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა შეერთებულ საკრებულოს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გუბერნიის ექიმის თანაშემწემ ბ ნ კლიაჩინმა, გუბერნიის ბეითალმა ბ ნ ბოლოტოვმა, ქალაქის წარმომადგენელმა სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა სტეფანოვმა და ბეითალმა გიორგიზონმა. საკრებულომ ამ სხდომაზედ შეიმუშავა სხვა-და-სხვა ღონისძიება ტფილისში საქონლის ჭირთან საბრძოლველად. ყველა ეს საშუალება ტფილისის გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად.

⁂ ქ. სოხუმი. 2 ივლისს აქ გვესტუმრა ახლად შემდგარი ქართული ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით და ორი კონცერტი გამართა. პირველს ხალხი საკმაოდ დაესწრო და დიდს აღტაცებაშიაც მოიყვანა დამსწრე საზოგადოება იმათმა მშვენიერმა ეროვნულმა სიმღერებმა. მეორე კონცერტს-კი საზოგადოება ცოტა ნაკლებად დაესწრო. ამის მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ ზაფხულს მთელი ქალაქის შეძლებული საზოგადოება საგარაკოდ არის გასული. ქალაქში მხოლოდ ისინი დარჩნენ, რომელთაც გარემოება და საქმე ნებას არ აძლევდა წასულიყვნენ სადმე. წარმოდგენის შემდეგ მთელი ხორო (მომღერლები) და ოციოდე სხვა კაცი ბ-ნმა ს. ს. თურქიამ მიიწვია ვახშმად.

მეორე დღეს ხორო დაბა ოჩამჩირისაკენ წავიდა, პატივისმცემლებმა გააცილეს ხორისტები.

სენაკის მაზრა. სენაკის მაზრის თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას, როგორც სხვებს, ამათაც მიწის გარდასახადი აძევთ. ეს გარდასახადი ზოგიერთებზედ რიგიანად არ ყოფილა გაწერილი, ასე რომ ვისაც მეტი მამული აქვს, იმას ცოტა აწერია და ვისაც ცოტა, იმას-კი მეტი. ამის გამო, როგორც ხმა დადის, თხოვნას აძლევს ჩვენის მაზრის თავად აზნაურობა მთავრობას, რათა რიგიანად გაეწეროს ყველას... იმედია, მთავრობა ამათს თხოვნას ყურადღებას მიაქცევს მით უფრო, რომ ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც ბუნებაც გაძუნწდა და ჩვენი თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ნივთიერად ძალიან დაქვეითებულია...

⁂ გამოვიდა ჟურნალ „მოამბე"-ს მეშვიდე, ივლისის წიგნი, რომლის შინაარსიც შემდეგია: „მოღამულ გზაზე". —მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება), „ცრემლები". —ლექსი ვაჟა-ფშაველასი, „მაწანწალა". —მოთხრობა გიუ-დე-მოპასანისა, თარგმანი თ. სახოკიასი, „გლეხი კაცის ისტორია", —ნაწილი მეორე. —ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, „მედეა". ტრაგედია ევრიპიდესი, თარგმანი, „ლაზარე". — შანტეპლერისა, თარგმანი კიტა აბაშიძისა, „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები. — XXXVII — XXXVIII — XXXIX—XL. — ალ. ს—შვილისა; „ცხოვრება და ხელოვნება. —ჩვენი ახალგაზდობა." —კიტა აბაშიძისა, დამატება: „საქართველოს სიძველენი".

⁂ რიონი. გუშინ, 10 ივლისს, როდესაც ტფილისიდგან სახალხო მატარებელი მოვიდა სადგურზედ და ის იყო უნდა გაჩერებულიყო, კონდუქტორს სოსიკო კიკვაძეს როგორღაც ფეხი აუცდა გადმოხტომის დროსა და ვაგონის ქვეშ ჩავარდა. მატარებელმა კიკვაძეს მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ 9 ივლისს, პოლციის მე-6 ნაწილში მივიდა შამახის მცხოვრები ზამან ქოჯაევი, რომელიც დროებით მეჩეთის ქუჩის შესახვევში სცხოვრობს ჯაფარ ისმაილ ოღლის ნომრებში და განაცხადა, რომ ძილის დროს ვიღაცამ 254 მან. ნაღდი ფული, ოქროს საათი, 145 მან. ღირებული და 666 მან. ვექსილი მომპარაო. ქურდისა და დანაკარგის ძებნას უკვე შეუდგა პოლიცია.

⁂ 8 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზედ დიდუბეში მცხოვრების ტფილისის მოქალაქის ალექს. სერებრენნიკოვის 6 წლის ვაჟიშვილი სახლის მახლობლად მოედანზედ აგროვებულ ხე-ტყესთან თამაშობდა; თამაშობის დროს ხე ჩამოვარდა, დაეცა და ბავშვი გასრისა.

## საზაფხულო პედაგოგიური კურსები

7 ივლისს საზაფხულო პედაგოგიურის კურსების დაწყების წინად საეპარქიო ზედამხედველმა ბ-ნმა გ. ტატიშვილმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა იქ დამსწრე მასწავლებელ ქალთა და კაცთა: მადლობა ღმერთსა, რომ დიდიხნის სურვილი მოკლე ვადიანის საპედაგოგო კურსების დაარსების შესახებ საქართველოს ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო მასწავლებელთათვის არც სიზმარია და არც ოცნება, არამედ ჭეშმარიტი მოვლენა, რომლის განხორციელება იწყება დღეს. ჩვენ დღეს გადავდგით პირველი ნაბიჯი კურსების კარის ბჭეზედ და შევიყარენით აქ. საჭიროდ არ მიმაჩნია დაწვრილებითი განმარტება კურსების მნიშვნელობისა პირველად იმისთვის, რომ თქვენ თვით საკმაოდ გესმით მნიშვნელობა; მეორედ მისთვის, რომ თვით მ. რექტორმა გრძნობით სავსე მოძღვრებაში განგიმარტათ მისი მნიშვნელობა და ღირსება. მე მხოლოდ მინდა წინადვე გაუწყოთ, რომ დიდი, ძალიან დიდის შრომის გაწევა მოგიხდებათ. კურსები თვენახევარს გასტანს და ამ დროს განმავლობაში თქვენ ძლიერი გონებითი შრომა მოგელით, სრული თქვენი ძალ-ღონე უნდამოახმაროთ ამ საქმეს. იქნება ზოგნი თქვენგანნი კიდეც დაიცინებიან, დამცირებადაც მიაჩნიათ და სხვ., იქნება ზოგნი კიდეც ჰკრთიან, არ იციან, როგორ და რა ნაირად შეუდგნენ საქმეს. უკანასკნელთა მდგომარეობა, ჩემის აზრით, უფრო კეთილის მომასწავებელია. მართლა, კაცი უნდა ჰკრთოდეს, კაცს უნდა მორიდება ჰქონდეს, რომ ამისთანა საქმეში არ შერცხვეს. რაც შეეხება იმათ, ვინც ან დაცინვით უყურებს ამ საქმეს და ან თავის დამამცირებლად მიაჩნია, პირდაპირ უნდა სთქვას, რომ მათი ამ გვარი შეხედულება არაფრით გასამართლებელი არ არის და გასაკიცხია. „კაცს სიკვდილამდის სწავლა არ მოსჭარბდებაო", ნათქვამია და ჭეშმარიტიც არის. განა ვისმე მართლა იმდენი ცოდნა აქვს, რომ ასამდის ადამიანთა შორის ტრიალის დროს ახალი არა შეიძინოსრა? გარდა ამისა, პედაგოგიური მეცნიერება სწრაფად მიდის წინ, როგორც ევროპაში, აგრეთვე აქ, რუსეთის იმპერიაში. ნურავინ იფიქრებს, რომ რაც მან გუშინ შეიძინა სემინარიაში, ან გიმნაზიაში, გინდა სხვა სასწავლებელში, საკმარისია მისთვის მთელს სიცოცხლეში. ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ შარშან შეძენილი ცოდნა წელს უვარგისი გახდეს, დაძველებულად ჩაითვალოს. მასწავლებლობა ხელოვნებაა და მისნი საშვალებანი, როგორც ყველა ხელოვნებისა, ცვალებადობა. ვინც ამ ცვალებადობას ფეხ-და-ფეხ არ მისდევს, მისგან სწავლება ბაშვთა წამებად ითვლება. მასწავლებლობა ყოველგვარ სხვა მოღვაწეობაზედ ბევრად მაღლა სდგას. მოკრძალენი, დარწმუნებული ვართ, ფიქრობენ, რომ უცბად ბევრის შეძენა შეუძლებელია, მაგრამ დავამშვიდებ, რომ ბევრისაგან მცირეს შეძენა ადვილად შესაძლებელია და ეს მცირეც შეიწირავების. სხვებს კიდევ, ვურჩევ თვისი კაცთ მოყვარეობისათვის მოვალეობა შეასრულოს და თავისის ცოდნა გამოცდილებით მოძმეთ დაეხმარნენ".

ამის შემდეგ, როგორც „ივერია"-შიაც იყო მოხსენებული, ბ-ნთ კრავჩენკომა და ტურჩევსკიმ ლექციების კითხვა დაიწყეს ტფილისის საბაღოსნო სკოლის დარბაზში. ლექციებს მასწავლებელნი ბეჯითად ისმენდნენ და ყველას სახეზედ სიამოვნება ჰქონდათ აღბეჭდილი. შუადღის შემდეგ ოთხს საათზედ ორივე დასი ქალთა და კაცთა საბაღოსნო სკოლის ბაღში შეიკრიბა, სადაც მანდილოსანთა კრებულს თვალ-საჩინოდ აჩვენებდა საბოსტნე ნიადაგის მომზადებას ბ-ნი კრავჩენკო და თან სთხოვდა მასწავლებელ ქალებს, რომ თვითვე გაეკეთებინათ კვლები, გაეწმინდათ, გორახები აერჩიათ და სხ. ქალებმა გაიცნეს აგრეთვე, როგორ მზადდება ზურგ-მაღალი და ზურგ-ჩავარდნილი კვალი და სხვა დანარჩენ მასწავლებელთ ბ ნ ტურჩევსკი დაუძღვოდა და იმათვე ამზადებინებდა ნიადაგს საკენახედ და სახეხილედ. ამნაირად თეორიულს სწავლებას თან მისდევს ნათქვამის თვალ-საჩინოდ განხორციელება, სიტყვის საქმედ გარდაქმნა. მასწავლებელნი ქალნი და კაცნი დიდის სიამოვნებით ასრულებდნენ სამუშაოს და ისე გაერთვნენ, რომ საღამოს მერვე საათზედ დაიშალნენ.

ნადიკვრელი

## სოფლების სამეურნეო თანხა და პურის ამბრები

ჩვენ ამას წინად დავპირდით ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ დაწვრილებითი ვითარება სოფლის სამეურნეო თანხისა და პურის ამბებისა, რომელიც დაწესებულია ტფილისის გუბერნიის გლეხთა საზოგადოებისათვის ტფილისის გუბერნატორის თავ. გ. დ. შერვაშიძის თაოსნობით. აი, ცნობები ამ ფრიად სასარგებლო და შესანიშნავის საქმისა: ტფილისის გუბერნიაში სულ ცხრა მაზრაა. ამ მაზრათა შორის: 1) ახალქალაქის მაზრაში სულ 11 სასოფლო საზოგადოებაა და მხოლოდ 10 აქვს სამეურნეო თანხა. ამ 10 საზოგადოებაში 101 სოფელი ითვლება, 5,788 კომლია და 62.132 სული მცხოვრებელი ორისავე სქესისა. ათსავე სოფელშია დაარსებული პურის ამბარი. ამ სოფლის საზოგადოებათ 1897 წლის პირველ იანვრისათვის ჰქონდათ მარცვლად 13.113 $^3/_4$ ფუთი და ფულად 199.801 მან. 98 კაპ. *).

2) ახალციხის მაზრაში სულ 9 სასოფლო-საზოგადოებაა და ყველასა აქვთ სამეურნეო თანხა, ამ 9 საზოგადოებაში 189 სოფელია, 4.850 კომლი და 47.639 სული მცხოვრებელი. 10 ამბარია პურისა დაარსებული. ამ საზოგადოებათ ჰქონდათ მარცვლად 14.368 ფუთი და ფულად 49.647 მან. 15 კაპ.

3) ბორჩალოს მაზრაში 54 სასოფლო საზოგადოებაა და ყველას აქვს სამეურნეო თანხა. ამდენს საზოგადოებაში 267 სოფელია, 11.799 კომლია და 94.038 სული. ამ 54 საზოგადოებას 33 პურის ამბარი აქვთ. დაზოგვილი აქვთ მარცვლად 10.652 ფუთი და ფულად 196.195 მან. 27 კაპ., ამას გარდა, ამავე თანხიდგან თავისს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დაუხარჯავთ 9.269 მან. 36 კაპ.

4) გორის მაზრაში 37 სასოფლო საზოგადოებაა, ამათში მხოლოდ 30 საზოგადოებასა აქვს სამეურნეო თანხა. ამ 30 საზოგადოებაში 161 სოფელია, 18.610 კომლი, 131.117 სული მცხოვრებელი. 167 პურის ამბარი აქვთ ამ საზოგადოებათ და დაზოგვილი პურად 30.228 ფუთი, ხოლო ფულად 124.253 მან. 90 კ. ამას გარდა, ამავე თანხიდგან თავისს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დაუხარჯავთ 400 მან.

5) დუშეთის მაზრაში 48 სასოფლო საზოგადოებაა და მხოლოდ 38 აქვს სამეურნეო თანხა. ამ 38 საზოგადოებაში 287 სოფელია, 6.852 კომლი, 48.914 სული მცხოვრებელი. ამ საზოგადოებათ 8 პურის ამბარი აქვთ, მარცვლად არა აქვთ-რა, ხოლო ფულად დაზოგვილი აქვთ 56.659 მან. 41 კაპ. და ამას გარდა თავიანთ საჭიროებაზედ დაუხარჯავთ კიდევ 900 მან.

6) სიღნაღის მაზრაში 40 სასოფლო საზოგადოებაა და 39 აქვს თავისი სამეურნეო თანხა. ამ 39 საზოგადოებაში 54 სოფელია, 13.747 კომლი, 73.852 სული მცხოვრებელი. ამ საზოგადოებათ 51 პურის ამბარი აქვთ და დაუზოგიათ მარცვლად 53.030 ფუთი და ფულად 154.820 მან. 29 კაპ. ამას გარდა, თავიანთ საჭიროებაზედ დაუხარჯავთ 212 მან. 31 კაპ.

7) თელავის მაზრაში 33 სასოფლო საზოგადოებაა და ყველასა აქვთ სამეურნეო თანხა. ამ 33 საზოგადოებაში 61 სოფელი ირიცხება, 8.843 კომლი, 51.217 სული მცხოვრებელი. ამ საზოგადოებათ 52 პურის ამბარი აქვთ და დაუზოგიათ მარცვლად 25.590 ფუთი, ფულად 55.299 მან. 38 კაპ.

8) თიონეთის მაზრაში 31 სასოფლო საზოგადოებაა და ამათში მხოლოდ 13 საზოგადოებასა აქვს სამეურნეო თანხა, რომლებშიაც 85 სოფელი ირიცხება, 3.197 კომლი, 18.428 სული მცხოვრებელი. ამ საზოგადოებათ აქვთ 11 პურის ამბარი და დაუზოგიათ მარცვლად 17.577 $^1/_2$ ფუთი, ფულად 25.139 მან. 14 კაპ., და

9) ტფილისის მაზრაში 51 სასოფლო საზოგადოებაა, რომელთ შორის მხოლოდ 45 საზოგადოებასა აქვს სამეურნეო თანხა. ამ 45 საზოგადოებაში 122 სოფელი ითვლება, 8.751 კომლი, 62.884 სული მცხოვრებელი. ამ საზოგადოებათ 63 პურის ამბარი აქვთ და დაუზოგიათ მარცვლად 42.423 $^1/_2$ ფუთი, ფულად 110.937 მან. 53 კაპ. და ამას გარდა თავისს საჭიროებაზედ დაუხარჯავთ 2.387 მან.

აქ მოხსენებული ფული ბანკებშია ხელ-უხლებლად შენახული.

საერთოდ ტფილისის გუბერნიის ცხრასავე მაზრაში 314 სასოფლო საზოგადოებაა, რომელთა შორის მხოლოდ 271 აქვს სამეურნეო თანხა. ამ საზოგადოებაში 1.627 სოფელი ითვლება, 82.437 კომლი, 590.221 სული მცხოვრებელი. ამავე საზოგადოებათ 405 პურის ამბარი აქვთ და საერთოდ დაუზოგიათ მარცვლად 206.982 $^3/_4$ ფუთი, ხოლო ფულად 972.754 მან. 5 კაპ. იმას გარდა, რომ 13.168 მან. 67 კაპ. დაუხარჯავთ სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის.

*) ყველა ქვემოდ მოყვანილი ციფრებიც ამ წლის პირველ იანვრისათვის შედგენილ ანგარიშით არის მოხსენებული.

რედ.

იმ ცნობებს, თუ ამა თუ იმ მაზრაში რომელს სასოფლო საზოგადოებას რამდენი ჰქონდა 1897 წლის პირველ იანვრისათვის დაზოგილი მარცვლად და ფულად, შემდეგ დავბეჭდავთ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ძაძა** (ქვედა აჭარა). ამას წინად ისეთი გვალვა და სიცხეები იყო, რომ ადამიანთ მგზავრობა შეუძლებელი იყო და ღარიბ ხალხს ნახევარზედ მეტს ყანები დაუთესელი აქვს, ცოტა თუ რამე მოხნეს და დასთესეს, ისიც ამ დღეებში სიცხემ ამოსწვა. აგერ ორი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა. ამ გვალვამ თუ ბოლო გაატანა შიმშილობის ნიშანი არის.

პირველ ამთვეს ერთი უბედურება დატრიალდა სოფ. გაიოში. ამა სოფლის მცხოვრებს აბდულ-აღაჯიგან-აღის შვილს თურმე სხვათა შორის უგმოყოფილო ჭკუვდა მეზობელი თავისი იუსუფ-ისოფოღლი. ამ იუსუფს თურმე აბდულ აღის სახლის ეზოსთან გზაზედ გაუვლია, იმდროს სახლიდგან დაუნახავს აბდულაღას და გამოჭკიდებია უკან თოფის სროლით. გაურბენიათ თითქმის ერთი ვერსი. იუსუფა უცბად მობრუნებულა და რამოდენჯერმე თოფი უსროლიათ ერთმანეთისათვის. იუსუფას ნასროლი ტყვია მოხვდა აბდულ-აღას და მან იქვე სული განუტევა. დამნაშავე ჯერ ჯერობით გაპარულია.

2 ივლისს, სამშაბათს საღამოზედ, ბათუმიდგან მოდიოდა სახელმწიფო გზების ინჟინერი იუ-ზასიკი ეტლით. როდესაც ამოვიდა სოფელ ქედას პირდაპირ, გზის სივიწროვის გამო მდ. აჭარის წყლის უშველებელ ხრამში გადავარდა. შიგ მყოფებმა გადმოასწრეს, მარტო მეეტლე გადაჭყვა ეტლს. ეტლი დამტვრეულია. ერთი ცხენი დაშავებულია და მეეტლეც ცოტა დაზეგილია.

აბდულ-ეფენდი მიქელაძე.

—

**ს. შემოქმედი** (ოზურგეთის მაზრა). ამ ხუთის წლის წინად შემოქმედში ორი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობდა, ერთი თვით შემოქმედში და მეორე კი ამ საზოგადოების სოფელ მაკვანეთში. ერთსაცა და მეორესაცა ცალკ-ცალკე ინახავდა სოფელი, მაგრამ პირველის სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვი მცხოვრებთ ვერ აკმაყოფილებდა და ამიტომ შემოქმედლები იძულებულნი გახდნენ ერთ-კლასიანი სკოლა ორკლასიანად გადაეკეთებინათ, რომ ყველა ახალ მოზარდს შესძლებოდა სკოლაში შესვლა. თქმა და ქმნა ერთი იყო და აგერ ორი წელიწადია, ორი მასწავლებელი გვყავს და ორ-კლასიანს სკოლას ვინახავთ შემოქმედლები. ეხლა-კი ეს ცოტა არ იყოს სამწუხარო ჩვენთვის მით უმეტეს, რომ ნივთიერ ქონების მოპოვების საღსარი არა გვაქვს და სკოლაში ძლიერ ცოტა რიცხვია მოსწავლეებისა.

ამ გარემოებას გლეხები სიღარიბეს აწერენ: „ბევრი გვხდებოდა გარდასახადი და ბავშვები იმიტომ გავიყვანეთო“, მაგრამ ეს ერთი წელიწადია, რაც ერთი სამრევლო სკოლა დაარსდა აქ მახლობლად, რომელშიც მოსწავლეთა რიცხვი ბევრად მეტია ორ კლასიანთან შედარებით.

ამ იანვრიდგან თავ. კონსტანტინე მაღაქის მე გურიელის მზრუნველობით წიგნთ-საცავიც დავაარსეთ; თავ. გურიელი შემდეგშიაც დიდს შემწეობას გვპირდება, რისათვისაც, ეჭვი არ არის, დიდის მადლობის ღირსია.

თუმცა ჯერ საკუთარი შენობა არა გვაქვს წიგნთ-საცავისათვის, არც წიგნებით არის ძლიერ მდიდარი იგი, მაგრამ, იმედია, გულ-შემატკივარი ხალხი თავისს წვლილს არ დაიშურებს და ეცდება, რომ სამუდამო და საკუთარი სახლი რამ გაუჩინოს შემოქმედის წიგნთ-საცავ სამკითხველოს. იმედია, გამგეობაც ჯეროვანის ყურადღებითა და სიყვარულით მოჰკიდებს ამ საკეთილო საქმეს ხელსა და ეცდება მეტი სიცოცხლე დაატყოს, ხალხი მიიზიდოს.

დ. მუშაკი

## რუსეთი

—

როგორც წარსულს წლებში, ისე ამ მიმდინარე წელსაც მეტად ბევრია მსურველი ს.-პეტერბურგის სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში შესვლისა. ამ ჟამად 200 დე თხოვნა უკვე შეუტანიათ და ადგილი კი შედარებით მთხოვნელთა რიცხვთან ძალიან ცოტაა. ამისა გამო წრეულ გამოსაცდელს ეგზამენებზედ აკადემიაში შემსვლელთა ორთა შუა რიცხვით 4-ზედ ნაკლები ნიშანი არ უნდა ჰქონდეთ, რომ სტუდენტად იქმნენ ჩარიცხულნი. თხოვნების გაგზავნა 15 ივლისს იქით აღარ შეიძლება.

— ამ ბოლოს დროს პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა რიცხი მეტად ჰმატულობს და ცხოვრება-კი დღით-დღე შეუძლებელი ხდება ღარიბ სტუდენტებისათვის. ამის გამო შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ ინსტიტუტის მთავრობამ საკმაოდ დიდი საცხოვრებელი სახლი დააარსოს სტუდენტებისათვის და იაფ ფასიანი სასადილო გაჰმართოს, რომლისათვისაც საჭირო ფული, განზრახულია, რუსეთის მთის-მრეწველებს შეაწერონ.

## დამაკვირდი

კანონი სხვა რა არის, თუ არა ხელშეკრულობა, დადებული ერთმანეთ შორის საზოგადოების წევრთა მიერ.

ჟ. ჟ. რუსსო

***

კაცობრიობა დიდებულია, კაცნი არიან არარანი.

ბიორნე

***

თუმც რომ ლალი ტალახმა დაჭფარა, მაგრამ ჭუჭყი-კი ვერა შესცხო-რა.

ჩინური ანდაზა

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ხალხს ძლიერ ეშინოდა ხოლმე, როდესაც ზეცაზედ კუდიანი ვარსკლავი გამოჩნდებოდა. ამბობენ, რომ კუდიან ვარსკლავის გამოჩენას მუდამ ან ომიანობა მოსდევს, ან სიმშილი და ან სხვა რამ დიდი უბედურებაო. ეხლა კუდიანის ვარსკლავისა არავის ეშინიან. საზოგადოდ ადამიანს ძლიერ ეშინიან ბუნების ყოველგვარ იმ მოვლენისა, რომელიც ჯერ არ გამოუკვლევიათ. გამოუკვლეველი და საკვირველი ამბავი-კი ძლიერ ბევრია ქვეყანაზედ, სხვათა შორის მეტად საკვირველია და საოცარი ის ამბავი, რომ ზოგჯერ ადამიანი ჰგრძნობს ხოლმე, როდესაც დიდი რამ უბედურება მოელის. ზოგიერთს ასეთს საოცარს ამბავს მოვუთხრობთ მკითხველებს. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ქვემოდ მოყვანილ შემთხვევათა სინამდვილე ნამდვილად დამტკიცებულია და ეჭვს გარეშეა.

ამას წინად რომ პარიჟში დიდი უბედურება მოხდა და მრავალი ხალხი დაიწვა ცეცხლში, ერთმა მონაზონმა იულია გარიველ წინა ღამეს სიზმარში ნახა, რომ ცეცხლში იწვებოდა. ამ სიზმარმა ისე აღელვა ქალი, რომ მეორე დილას ძლიერ დაღონებული იყო და მონასტრიდგან რომ გამოდიოდა, მონაზონებს გამოეთხოვა და უთხრა „მე თქვენ ვეღარა გნახავთო“. მართლაც და ერთის საათის შემდეგ ამ ქალის დამწვარი გვამი მოიტანეს მონასტერში.

ამ გვარივე ამბავი მოუხდა ერთს მკურნალს ბ-ნს ერეკურს. მკურნალი თავისის ცოლ-შვილით სასეირნოდ წავიდა და გზაში სრულიად უმიზეზოდ ფიქრმა გაუელვა, ჩვენს სახლს ცეცხლი წაეკიდაო. მკურნალს ეს ძლიერ უკვირდა, რამ გადამკიდაო ეს ფიქრი. წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როდესაც სახლისაკენ დაბრუნდა და ჰნახა, რომ მის სახლს მართლა ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, რომ ადამიანს წინად უგრძვნია თავისი ან მახლობელ კაცის უბედურება. იულიოს ცეზარის მოკვლის წინა დღეს მისმა ცოლმა კალპურნიამ სიზმარში ჰნახა თავისი ქმარი დაჭრილი და დასისხლიანებული. კალპურნიამ ეს სიზმარი ქმარს უამბო და ეხვეწებოდა, დღეს სენატში ნუ წახვალო, მაგრამ ცეზარმა მაინც არ დაიშალა, წავიდა სენატში და იქ მოჰკლეს შეთქმულებმა.

ასეთივე ამბავი დაემართა ამერიკის პრეზიდენტს აბრაამ ლინკოლს. ლინკოლნმა სიზმარში ჰნახა, ვითომ კიბეზედ ჩადიოდა. კიბე შავებით იყო მორთული. ლინკოლნმა იკითხა, რას ნიშნავს ეს ამბავიო და უთხრეს: „ეს არის ოპერის თეატრში პრეზიდენტი მოჰკლესო.“ ლინკოლნმა ეს სიზმარი ცოლს უამბო და ისიც ეხვეწებოდა, დღეს თეატრში ნუ წახვალო. ლინკოლმა არ დაიშალა, წავიდა თეატრში და იქ მოჰკლა ჯონ-ბუზსმა.

ბერლინის კონსისტორიის წევრმა ბერხარდიმ სიზმარში ჰნახა, რომ გზად მიდიოდა და ქარს ხის ფოთლები მოჰქონდა: დასწვდა ერთს ფოთოლს, აიღო და ჰნახა, რომ ზედ ეწერა „ბერხარდი გარდაიცვალა 1820 წელს 1 ივნისს“. ბერხარდიმ ეს მეგობრებს უამბო, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია იმის სიზმარს და მხოლოდ მაშინ მოაგონდათ ეს ამბავი, როდესაც გაიგეს, რომ ბერხარდი სწორედ 1820 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა.

ბარონმა ლაზარ გელენბაჰმა სიზმარში ნახა გულ-წასული კაცი, რომელიც ორ კაცს ეჭირა. მეორე დღეს გელენბაჰი თვის მეგობართან წავიდა, გაუერთან, და კარებშივე შემდეგი სურათი წარმოუდგა: ორს მოსამსახურეს მიჰქონდათ გვამი გაუერისა, რომელიც რაღაც საწამლავით მოწამლულიყო.

ბავარიის მეფის ლიუდვიგო მეორის მკურნალი ფონ გუდენი და თვით ეს მეფე შტენბერგის ტბაში დაირჩვნენ. მეფესთან წასვლის წინა დღეს მკურნალმა ფონ-გუდენმა სიზმარში ჰნახა, რომ თვით ისა და ვიღაც კაცი წყალში ირჩობოდნენ. ეს სიზმარი გუდენმა ცოლს უამბო. რამდენსამე დღის შემდეგ ფონ-გუდენი და ბავარიის მეფე ლიუდვიგო ტბაში დაირჩვნენ.

ვივერეს ქალაქ არდებში სცხოვრობდა მარსელ სერიზოლი. ერთს დღეს, 1885 წელს, მარსელ სერიზოლი სასეირნოდ წავიდა. სერიზოლი ძლიერ კარგ გუნებაზედ იყო. წინადღეს წერილი მოუვიდა დედ-მამისაგან, ყველანი ძლიერ კარგადა ვართო. სერიზოლის დე-მამა 700 ვერსის სიშორეზედ სცხოვრობდნენ. უეცრად სერიზოლმა იგრძნო, თითქოს კისერში ვინმემ ჩაჰკრაო და შეეშინდა, ფიქრმა გაუარა, რაღაც უბედურება მეწვიაო. ეხლა ჩემს სახლში დეპეშა იქმნებაო, გაიფიქრა კვლავ სერიზოლმა და სახლისაკენ გაეშურა. „დეპეშა მომეცითო“, უთხრა მსახურს და იმანაც მართლა მიართვა დეპეშა. დეპეშაში ეწერა, რომ სერიზოლის მამა უეცრად გარდაიცვალაო.

იგივე სერიზოლი ერთხელ გრანადაში იყო. ცოლმა უთხრა, წუხელ სიზმარში ვნახე ჩვენი ნაცნობი ქალი N, ვითომ ძლიერ შეწუხებული ავადმყოფი იყოვო. სერიზოლმა ეს დღე დაინიშნა. საფრანგეთში რომ მოვიდნენ ცოლ-ქმარნი, გაიგეს, რომ ის ქალი სწორედ იმ ღამეს გარდაცვლილიყო, რა ღამესაც სერიზოლის ცოლმა სიზმარში ჰნახა ავადმყოფი.

1888 წელს ქალაქ ბორდოში ერთს დღეს ერთი კაცი სახელად L. Y. ოთახში იჯდა და ჰმუშაობდა. უეცრად იგრძნო, რომ ოთახში ვიღაცა შემოვიდა, მოიხედა და თავის ბიძა დაინახა, რომელიც იმ ჟამად როშფუკოში სცხოვრობდა. არ გასულა ამის შემდეგ 15 წუთი, რომ L. V.-ს დეპეშა შემოუტანეს—ბიძა თქვენი ძლიერ ავად არის და თქვენს ნახვას ნდომულობსო. იმ წამსვე როშფუკოს გაეშურა, მაგრამ ბიძა მკვდარი დაჰხვდა.

მეაფთექე ტომასი 1874 წელს მონპელიეში სცხოვრობდა. ერთ ღამეს სიზმარში ჰნახა თვისი მეგობარი მეაფთიაქე, რომელიც სეტტში მსახურობდა ერთს აფთიაქში. მეგობარმა უთხრა, აფთექის პატრონს წავეჩხუბე და მონპელიეში მოვდივარო. ტომასის გამოეღვიძა და ისევ დაეძინა. დილით კარი დაარახუნეს, ადგა, გააღო და თვისი მეგობარი დაინახა, რომელმაც უამბო, აფთექის პატრონთან ჩხუბი მომივიდა და აქ წამოვედი, ეგება აქ სადმე სამსახური ვიშოვოო.

## მ. ქარტოზიას პასუხად

(მცირე შენიშვნა)

„ივერიის“ მე-120 ნომერში დაბეჭდილია შენიშვნა ბ-ნ მანუჩარ კარტოზიასი იმის შესახებ, რომ ახლად შემდგარმა სამეგრელოს ამხანაგობამ პარკის სახარშავი ღუმელი ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის სადგომში მოათავსაო. ამტკიცებს, დიდად ვნებს ახლად მოხარშული პარკის ცუდი სუნი ხსენებულ სკოლის მოსწავლეებსაო და სთხოვს ვისაც ჯერ არს, ყურადღების მიქცევას და სხვ... რადგან ხსენებული წერილი სიმართლეს მოკლებულია, ამიტომ ვაუწყებ მკითხველებს სავსებით ამ საქმის გარემოებას.

მართლაც ამხანაგობის-მიერ შესყიდული პარკი მოიხარშა სკოლის ეზოში, სადაც ინსპექტორმა, როგორც უცბად მოფიქრებულ საქმეს, დაუთმო ამ დროებით თავისუფალი სკოლის სახლი, მაგრამ სულ სხვა სახლი და არა ის, რომელშიაც მაშინ მოსწავლეებს ეგზამენები ჰქონდათ. როგორც თვით ბ-ნ კარტოზიას უნდა მოეხსენებოდეს, თავად-აზნაურობას ძველ-სენაკის სკოლის განყოფილებისათვის აქვს აგებული ორი შენობა: ერთი ერთ სართულიანი ხისა და მეორე ორ-სართულიანი ქვითკირისა; ამხანაგობას პარკის გასაშრობად ჰქონდა დათმობილი ხის შენობაში ორი დარბაზი. პარკის ხარშვა დაიწყო 3 ივნისს სწორედ იმ დროს, როცა მოსწავლეები აძლევდნენ საეგზამენიო გამოცდას ქვის შენობაში, და არა იქ, სადაც პარკის მუშაობა იყო, როგორც ბ-ნ კარტოზია ბრძანებს; ესეც რომ არ იყოს, ნუ დაივიწყებთ, რომ ხსენებულ შენობებს შუა 50 საჟენზედ მეტი მანძილია და ნუ თუ ამ სიშორეზედ პარკის სუნს ვნება შეეძლო მოსწავლეებისათვის?!

თუმცა მე პირადად არ ვიცნობ ბ-ნს კარტოზიას, მაგრამ გაგონებით-კი ვიცი, რომ წელს იგი ჩამოვიდა ძველ-სენაკში, მომზადებული პარკის სასყიდლად, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ვერაფერი კარგი დარი დაუდგათ როგორც მას, ისე სხვებსაც და ვერ გაუმართლდათ იმედი: ამხანაგობის მიერ პარკის ფასის აწევის მიზეზით ვერ ჩაიგდეს აბრეშუმი სოფლელებიდგან ჩვეულებრივ ფასის დაწევით, მუქთად, და, მართლაც, ამხანაგობა გახდა მიზეზი იმათის ზარალისა.

გავახსენებ ბ-ნს კარტოზიას „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოგზავნილ რევიზორების, პარკის მუშაობის დროს, აქ ყოფნას, რომლებიც, ვგონებ, დაწვრილებით ჰხედავდნენ ყოველსავე მოქმედებას, მაგრამ სიამოვნების მეტი არაფერი გვესმოდა მათგან. ვფიქრობ, ზემოხსენებულის მიზეზით უნდა იყოს ბ-ნ კარტოზია ამხედრებული ამხანაგობის წინააღმდეგ სიცრუით აღსავსე სიტყვებით, თუ არადა, მაშ რამ აიძულა?! ნუ თუ სკოლის ზრუნვა აწუხებდა?!... დარწმუნდეს ბ-ნი კარტოზია, რომ არც ჩვენ და არც სკოლის უფროსს იმაზედ ნაკლებად გული არა სტკივათ სკოლისთვის.

ა. ქავთარაძე

## წერილი რედაქციის მიმართ

სასანიტარო-სამკურნალო ზედამხედაობის ინსპექტორის ბ-ნ სტეფანოვისა.

(დასასრული *)

რაიცა შეეხება ავტორის შენიშვნას, რომ ხუთს ჩემ მიერ გასინჯულ ბოჭკაში, რომელთა შორის ვარგისად იყო ცნობილი მხოლოდ ერთი, მე იმას ვიტყვი, რომ ეგ ბოჭკები ხომ ჩემამდე ბ-ნ რუდკოვსკისაგან იყო გასინჯული და ყველანი უვარგისად ცნობილნი. იმ გარემოებიდგან, რომ ერთმა მკურნალმა გასინჯა სანოვაგე და უვარგისად იცნო, ხოლო მეორემ, გასინჯა რა იგივე სანოვაგე და უვარგისად სცნა მხოლოდ ნაწილი მისი, გარნა მას შემდეგ შემდგარი კამისია, რომელშიაც საკამათო საგანი გადასწყდა ხმის უმეტესობით, არც ერთს მკურნალს დაეთანხმა და არც მეორეს, საგულვებელია ასეთის გარემოებიდგან ის უნდა დასკვნილიყო, რომ იმ სანოვაგეს გასინჯვის დროს არ ეტყობოდა უეჭველი და თვალით დასანახი ნიშნები უვარგისობისა, თორემ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ უთანხმოებაც არ მოჰხდებოდა მკურნალთა შორის [19]). მაგრამ არა, ავტორს ასეთი დასკვნა

*) იხ. „ივერია“ № 138.

[19]) ძლივს მიაღწია ბ-ნმა სტეფანოვმა იმ საგნამდე, რომლის გამორკვევაც ერთად-ერთი საქმეა ამ დავიდარაბაში. ერთი ჰნახეთ, რას ბრძანებს თავის გასამართლებლად ბ-ნი ინსპექტორი სასანიტარო-სამკურნალოს ზედა-მხედაობისა! ხუთს შემთხვევაში ოთხში რუდკოვსკი გაამართლა კამისიამ და მხოლოდ ერთში თქვენ, ბ-ნო სტეფანოვო, და რა თქმა უნდა, სახელი და დიდება თქვენია! სასაცილობა მეტი-და გნებავთ!.. ხუთს შემთხვევაში ოთხი თქვენი ტყუილი და ოთხი სხვის მართალი „ჩოთქში“ ჩასაგდები არ არის განა თქვენდა სასახელოდ! ბ-ნ სტეფანოვის მიერ მოთხრობილი ამბავი, ხუთის ბოჭკის შესახებ, სულაც არ ეშესაბამება იმას, რაც კომისიის ოქმშია. ხუთი ბოჭკა, ბ-ნ სტეფანოვის მიერ გასინჯული, ხელახლად გასინჯა კომისიამ და ერთზე, რომელიც მოდიდო იყო სთქვა: лишь въ одномъ большомъ боченкѣ сельди признаны, по заключенію большинства участвовавшихъ въ освидѣтельствованіи врачей—годными къ употребленію, а сельди въ малыхъ четырехъ боченкахъ—*безусловно протухлымм и издающими зловоніе и подлежащими уничтоженію.* ახლა ჰნახეთ, ამავე ხუთს ბოჭკაზე რასა სწერს ბ-ნი სტეფანოვი ქალაქის მოურავს: „по осмотрѣ мною этихъ пяти вскрытыхъ при мнѣ бочекъ, въ *одной только изъ нихъ найдено было нѣсколько штукъ сельдей* съ затхлымъ запахомъ, но безъ явныхъ признаковъ разложенія, *остальныя же четыре бочки оказались вовсе неиспорченными.* Заключеніе, данное мною на этомъ основаніи, состояло въ томъ, что изъ осмотрѣнныхъ мною пяти бочекъ подлежитъ уничтоженію только одна бочка, въ которой было найдено нѣсколько испорченныхъ сельдей. ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: ყოველ ამ მოქმედებაში სად გაჰპარვია ბ-ნ სტეფანოვს ის წესი და რიგი, რომელიც მისისავე სიტყვით შემუშავებულია სასანიტარო-სამკურნალო ინსტიტუტის მიერ და რომელიც თხოულობს, რომ ამისთანა შემთხვევაში მკურნალთა კამისია უნდა მოქმედობდეს და არა მარტო ერთი ცალკე მკურნალი, თუნდ იმისთანა სიხელოვანი, როგორც ბ-ნი სტეფანოვია. აქ რად დააძინეთ ეს კანონი და ბ-ნ გონიევის გასამართლებლად-კი აკვნიდამ წამოახტუნეთ ბუკითა და ნაღარითა. სჩანს ბ-ნ სტეფანოვის ნებაზეა, სად მიაკეროს კანონი და სად არა. მოდით და ამის შემდეგ ნუ დაუჯერებთ ბ-ნ სტეფანოვს, რომ მუხას ვაშლი ასხიაო. ერთი ხელ-ახლად გადიკითხეთ ამ ხუთის ბოჭკის თაობაზე მოთხრობილი ბ-ნ სტეფანოვის მიერ ამბავი და შეადარეთ ჩვენს უტყუარ

არ უნდოდა, იმისთვის საჭირო იყო ამ ამბისათვის მიეცა სხვა აზრი, აზრი საქმის „ჩაფუჩეჩებისა და კალთის გადაფარებისა“, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მე ვთხოულობდი, რაკი ასეთი უთანხმოება ჩამოვარდა, კამისია დაინიშნოს ამ საგნის საბოლოვოდ გადასაწყვეტადა მეთქი.

იდუმალი განზრახვა ავტორისა ყველასათვის ადვილად გასაგებია, განმარტებანი საჭირო აღარ არის. რომ კამისია დაინიშნა ჩემის თხოვნითა, ეს ავტორს შეეძლო დაენახა იმ სიგელიდგან ***), რომელიც შემდგარია 13 ოქტომბერს 1894 წელს და ხელმოწერილი ბ-ნ პოლიცმეისტერის, საგუბერნიო მკურნალის თანამდებობის აღმასრულებელის, სამის მთავრობის ხელ-ქვეით მკურნალისა, ქალაქის ქიმიკოსისა, ერთის სასანიტარო ნაწილის მკურნალისა და ჩემ მიერ [20]). ამ სიგელში ცხადად და გადაწყვეტით არის ნათქვამი, რომ კამისია შესდგა „ტფილისის ქალაქის მოურავის ქაღალდის გამო, რომელიც დაწერილია 12 ოქტომბერს № 4895 და რომელიც დაფუძნებულია სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის რაპორტზედაო“.

აი ასე იყო ნამდვილად საქმე და ასეთი იყო მისი არსება.

ყოველ ამის შემდეგ ვიკითხოთ ახლა, აქვს რაიმე აზრი ავტორის ბოლო წინადადებას, რომელიც ასეთის მაღალ-ფარდიანის სიტყვებით არის გამოთქმული: „მარტო ეს გვაკვირვებს,—ამბობს ავტორი,— რომ ეს დიდად საკეთილოდ განზრახული სასანიტარო-სამკუდნალო დაწესებულება, რომელმაც მთელის ტფილისის ჯან-მრთელობა, მისთა მკვიდრთა დღეგრძელობა და სიცოცხლე უშიშარ უნდა ჰყოს, რაც შეიძლება ყოველგვარ განსაცდელისაგან,—სწორედ ეგ დაწესებულება ჰლამის შაუმოვებისთანა საქმე არ გამოჰფინოს-კი, არ აღმოაჩინოს-კი, არამედ უკვე გამოფენილი, უკვე აღმოჩენილი როგორმე ჩააფუჩეჩოს და კალთა გადააფაროსო.“

ნუ უკვე უფლება არა გვაქვს ვსთქვათ ამაზედ, რომ მთლად ეს ტირადა ცარიელი, ლიტონი ფრაზაა, იმიტომ რომ ჩვენს კანონიერს მოთხოვნასა და სურვილს ავტორი უწოდებს „საქმის ჩაფუჩეჩებასა“ [21]). შესაძლოა განა ნამდვილ „კეთილშობილურ გულის წყრომად“ მივიჩნიოთ გულის-წყრომა ავტორისთანა „გამკითხველებისა“, რომელნიც, ჰკისრულობენ რა ამა თუ იმ საფანტასტიკო ბოროტ-მოქმედებათა გამოჩხრეკასა და აღმოჩენასა, თვითვე სცვივიან უფრო მეტსა და უარესს ბოროტ-მოქმედებაში? ეგ უფრო მეტი და უარესი ბოროტ მოქმედება არის დაძალადება საზოგადოებრივის სინიდისისა და საზოგადოებრივის ფიქრ აზრისა. აღმოჩენა და გამოფენა ბოროტ-მოქმედებათა კეთილი საქმეა [22]), ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ მიუდგომელი და მართლის მოყვარული გამკითხველი სავსებით იყოს დარწმუნებული, რომ ყოვლად მართალია და სწორე ის ფაქტები, რომელზედაც დამყარებულია ჩემი აღმოჩენაო, თორემ უამათოდ ასეთი „გამკითხველი“ მარტოოდენ მწარე ღიმილს გამოიწვევს გონიერის მკითხველისას და ნებასაც მისცემს სრულის გულის-წყრომითა და აღშფოთებით წარმოსთქვას: ეს სადა ვსცხოვრობთ, რა დროს მოვესწარით, ვინ არიან ჩვენნი მსაჯულნი და განმკითხველნიო! [23]).

რაიცა შეეხება ავტორის სხვა-დასხვა უმართებულობასა და შენიშვნას „კულტუროსანთა“ გამო და მასხარად აგდებას იმ გვარებისას, რომელთა დაბოლოვება არის „იანცი“, ყოველი ესე იმდენად უკადრისი საქმეა, რომ ამეებს არ მივაქცევ მკითხველთა ყურადღებას. რა ღირსებაცა აქვს ასეთს უმართებულობას, ეს ყველამ უწყის... წუხილი გვმართებს მხოლოდ ამისთანაებისათვის.

ხოლო დასასრულ ყოვლისა, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვსთქვა, რომ აღარავითარს საპოლემიკო ბაასსა და კამათს აღარ გამოვეკიდები ამ საგნის შესახებ, რადგან სრულიად არა მაქვს დრო და მოცალება ამაებისათვის; ამასთანავე დავსძენ, რომ უკეთუ ავტორი ისურვებს შეამოწმოს ის ფაქტები და საბუთები, რომელიც მე მაქვს მოხსენებული ამ წერილში, მზადა ვარ სამსახური გავუწიო.

რაიცა შეეხება „ტრიხინიან ღორების“ ისტორიას, ამ საგანზედ ჩვენ ცალკე მოვილაპარაკებთ.

*Санитарно-Врачебный инспекторъ*
*Г. Степановъ*

1897 წ. 30 მაისს.
ტფილისი.

—

P. S. ეს წერილი მზად იყო ჯერ ისევ 30 მაისს, მაგრამ მისმა დაბეჭდვამ დაიგვიანა იმიტომ, რომ მე ქართული არ ვიცი და რუსულად დავწერე ჩემი პასუხი, ხოლო რედაქციამ არ ინება მისი გადათარგმნა. [24]) ვიდრე გადავათარგმინებდი, დრომ განვლო და აი მხოლოდ დღეს იბეჭდება.

30 ივნისი.

საბუთებს და მაშინ დაინახავთ ბ-ნ სტეფანოვის ნახტომს მთელის თავისის სიგძე-სიგანით. „იმ სანოვაგეს (ესე იგი, იმ ხუთის ბოჭკის თევზს) გასინჯვის დროს არ ეტყობოდა უეჭველი და თვალით დასანახავი ნიშნები უვარგისობისაო“. მაშ ის „безусловно протухлыми и издающими зловоніе“ ტყუილი რახა-რუხია კამისიისა, სადაც იმდენი ექიმი წევრი იყო და რომელზედაც თქვენ ხელი გიწერიათ დ ცალკე აზრი არ გამოგითქვამთ? მაშ ეს უეჭველი მყრალი სუნი დამპალის თევზისა უეჭველი ნიშანი არ იყო უვარგისობისა? გარდა ამისა განა ოქმში ისა სწერია, რომ ამ ოთხის ბოჭკის გამო შესდგა აზრი წევრთა უმეტესობისა და არა მარტო იმ ერთ ბოჭკის გამო, რომელიც ვარგისად გამოდგა? თვალის ახვევა იქნება და ამისთანა აშკარა-კი არ გაგონილა! რას ბძასებთ, ბ-ნო სტეფანოვო? აბა ჩაუფიქრრით თქვენს ნათქვამს და ჩვენს საბუთებს! თუ ჩვენი გაოცება თქვენ გეოცებათ, გთხოვთ იგი ოქმი კამისიისა გამოაცხადოთ უკლებლივ, სიტყვა-სიტყვით და თქვენი რაპორტი 12 დეკემბერისა 1894 წ. ზედ დაამატოთ. მაშინ მკითხველნი დაინახავენ, რა გერკულესის სვეტებამდე მიაღწია თქვენმა კადნიერებამ.

***) ეს ქაღალდიც ან არ წაუკითხავს ავტორს, ან არ უნებებია მისი გადაკითხვა და რიგიანად გაგება.

[20]) აბა სწორედ მაგ 13 ოქტომბრის სიგელს გთხოვთ, რომ იგი სიტყვა-სიტყვით და უკლებლივ გამოაცხადოთ და მაშინ ვნახავთ, რამდენად შეამოწმებს ეგ სიგელი თქვენს ლათაიებს ხუთის ბოჭკის შესახებ, რომელთ გასინჯვაშიაც თქვენ თავი გამოიჩინეთ.

[21]) მაგას-კი არ ვუწოდებთ საქმის ჩაფუჩეჩებასა, არამედ იმას, რომ წამხდარი და დამპალი თევზი შაუმოვისა თქვენ კარგ თევზად იცანით და განა მყრალის თევზის კარგად ჩვენება „ჩაფუჩეჩება“ არ არის საქმისა?

[22]) ვწუხვართ, რომ ეს მშვენიერი აზრი დაგავიწყდათ, როცა ხელს აფარებდით შაუმოვის მყრალ თევზებს...

[23]) სწორედ მართალია ეს ღაღადი: რა დროს მოვესწარით, რომ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს მყრალი და წამხდარი თევზი კარგისაგან ვერ გაურჩევია.

[24]) მაშ თქვენი საქმე ჩვენ უნდა გვეკეთებინა? ვთქვათ, ინსპექტორი ბძანდებით, ჩვენი ბატონი ხომ არა! ჩვენ რა მთარგმნელნი ვართ თქვენის წერილებისა? ბარემ ისიც დაგვავალეთ, რომ თქვენ მაგიერ თქვენი პასუხები გაზეთებს ჩვენ ვუწეროთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 ივლისი.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანს ასრადა ჰქონდა დაენიშნა ახალი დელეგატები ზავის შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, სახელდობრ: გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი საიდ ფაშა, გენერალ ფელცეხმეისტერი ზეკი-ფაშა და ელჩად ნამყოფი ცია-ფაშა. პირველი ორის დანიშვნაზე უარი განაცხადეს.

**კონსტანტინეპოლი.** 9 ივლისს გოიუკდერეში ელჩებს ბჭობა ჰქონდათ. ელჩებს იმედი აქვთ, რომ ხვალინდელ კრებაზე ოსმალეთის მხრივ განცადება იქმნება შეტანილი საზღვრის შესახებ. საიმედო შეიქმნა, რომ ზავი მალე იქმნება შეკრული.

**კონსტანტინეპოლი.** დღეს გამოიცა ირადე, რომელშიაც დამტკიცებულია ოსმალეთ საბერძნეთ შორის სამზღვრის საქმე.

**პარიჟი.** დღეს, ნაშუადღევს, დაიწყო სორბონში სოციოლოგთა საერთა შორისო მესამე კონგრესი, რუსის სენატორის ლილიენფელდის თავმჯდომარეობით. კონგრესი სამი დღე გასტანს.

**ქრისტიანია.** სტავანჩერიდგან დეპეშით იუწყებიან: სევაიეს მახლობლად, რიფილკში, დღეს საფოსტო მტრედი დაიჭირეს, რომელსაც ფეხებზე და ფრთებზე ჰქონდა გაკეთებული ვერცხლის ბეჭდები, ზედ წარწერით: „ჩრდილოეთის პოლიუსი. 142 გ. 47—62“.

# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 14 ივლისს 1897 წელს, ფრეილინის ქუჩაზედ, ბანკის სადგომში ტფილისის მაზრის თავად აზნაურთა სახლში მოხდება მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა ვაჭრობის განუმეორებლად ქვემო დასახელებულის მამულებისა, რომლებიც ამა წლის 24, 26 და 28 ივნისს მომხდარ საჯარო ვაჭრობის დროს არ იქმნენ გაყიდულნი.

ქალაქის მამულები:

ხერხეულიძისა, ილია დავითის ძისა სამ სართულიანი ქარვასლა სარდაფებით და ორ სართულიანი სახლი, მიწა ზომით 148 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-5 ნაწილში, სირაჩხანის აღმართზედ. თავნი ვალი 19,245 მან. 26 კაპ. შესატანი გადასახადი 839 მან. 57 კაპ., სულ 20.084 მან. 83 კაპ.

გულიშამბაროვებისა, სიმონ, სტეფანე, რუბენ, ვასილ იოსების ძეთა და სოფიო იოსების ასულისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით 110 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 770 მან. 98 კაპ. შესატანი გადასახადი 71 მან. 79 კ. სულ 842 მან. 77 კ.

სტეფანოვისა, მაკარ არტემის ძისა: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით $499^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ქალ. ლენქორანში. თავნი ვალი 1862 მან. 06 კაპ. შესატანი გადასახადი 404 მან. 22 კ. სულ 1966 მან. 28 კაპ.

სუსუნიკაშვილისა, იოსებ მამაჯანის ძისა (იგივე დავითის ძე): ერთ სართულიანი სახლი და ერთ სართულიანივე ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ქუთაისში, გაგარინის ქუჩაზედ. თავნი ვალი 677 მან. 44 კ. შესატანი გარდასახადი 387 მან, 06 კ. სულ 7163 მან. 50 კაპ.

სოფლის მამულები:

გაგლოშვილისა, გრიგოლ ეფრემის ძისა: სახნავი მიწები, ზომით 56 დესეტინა და 1406 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფ. ზემო და ქვემო სობისში. თავნი ვალი 1946 მან. 70 კ. შესატანი გადასახადი 118 მან. 74 კ. სულ 2065 მან. 44 კ.

მიქელაძეთა ნიკოლოოზ და მიხეილ დიმიტრის ძეთა (ტეტიკასძენი). სახნავი მიწები, ზომით 8 დესეტინა და 100 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის აგარაკ ახრისში. თავნი ვალი 398 მან. 99 კ. შესატანი გადასახადი 19 მან. 72 კ. სულ 418 მან. 71 კ.

ხერხეულიძისა, ილია ომანის ძისა: ვენახი, საბოსტნე და სამოსახლო ადგილები, მიწა ზომით 1 დეს. და 1612 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. გორის მაზრის აგარაკ საციხურთან. თავნი ვალი 420 მან. შესატანი გადასახადი 44 მან. 66 კ. სულ 464 მან. 66 კ.

მელქუმოვისა, ათინოგენ გაბრიელის ძისა: სახნავი მიწები, ზომით 6 დესეტინა და 1,200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ერედვში. თავნი ვალი 393 მან. 76 კ. შესატანი გარდასახადი 28 მან. 90 კ. სულ 422 მან. 66 კ.

(1—6.—1)


# იყიდება

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ.

(7—183—2)



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანი სალებავების (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (ЗАВОДЪ КРАСОКЪ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული სალებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს სალებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

მთავრესი ქარხანა გასაღესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარიშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს სალებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Іюля 1897 г.

სტამბა ... ... და ...

პასუხისმგებელი რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.